სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/119

ქ. თბილისი 19 ივლისი 2024 წ.

„2024-2025 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფაკულტეტების მიხედვით მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 თებერვლის N01-05-04/13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- საქართველოს ტექნკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სტუ-ის ვიცე-რექტორის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურეობრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის №01-05-02/21 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 თებერვლის N01-05-04/13 დადგენილებაში და დადგენილების პირველ პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ით განსაზღვრულ პროგრამების და ვაკანტური ადგილების რაოდენობას დაემატოს:
   ა) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე:

	სამაგისტრო პროგრამა	**ადგილების რაოდენობა 2024 წლისათვის**
34[1]	**ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში (ინგლისურნოვანი)**	5
	სულ	195

ზ) აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე:

	სამაგისტრო პროგრამა	**ადგილების რაოდენობა 2024 წლისათვის**
43[1]	**სურსათის უვნებლობა**	20
	სულ	109

ზ) სამაგისტრო პროგრამების რაოდენობის ჯამი განისაზღვროს 1039-ით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის N64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**